*საკრებულოს წევრის, ნინო რუხაძის მიერ **01.11.2023-31.10. 2024** პერიოდში*

გაწეული საქმიანობის ანგარიში

საანგარიშგებო პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი ევროპის მუნიციპალიტეტებისა (Council of European Municipalities and Regions, CEMR) და რეგიონების საბჭოსა და გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ქსელის (United Cities and Local Governments, UCLG) საქმიანობაში.

CEMR-ში არჩეული ვარ ორგანიზაციის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე. ორგანიზაციის ფარგლებში მონაწილეობას ვიღებდი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომლის მიზანიც იყო საერთაშორისო ასპარეზზე ევროპული მუნიციპალიტეტებისა და მათი გაერთიანებების როლის დაწინაურება საერთაშორისო ასპარეზზე.

2023 წლის 6-7 ივნისს თბილისში პირველად ჩატარდა CEMR-ის პოლიტიკური კომიტეტის სხდომა. აღსანიშნავია, რომ კომიტეტის წევრები ჩავიდნენ სოფელ ოძისში და გაეცნენ საოკუპაციო ხაზთან არსებულ მდგომარეობას, აგრეთვე შეხვდნენ სოფელ წეროვანში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას.

საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ UCLG-ის ფარგლებში ამირჩიეს სამუშაო ჯგუფის წევრად, რომლის მანდატსაც წარმოადგენს ორგანიზაციის პროცედურული და საარჩევნო სამართლებრივი ჩარჩოს გადახედვა და განახლება, აგრეთვე UCLG-ის მსოფლიო ორგანიზაციასა და რეგიონულ სექციებს შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი შეთანხმების პროექტის შემუშავება. სამუშაო ჯგუფი საქმიანობას დაასრულებს 2025 წელს და მის მიერ შემუშავებული აქტებისა და ცვლილებების პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება UCLG-ის მსოფლიო ორგანიზაციას.

ხაზგასასმელია, რომ საანგარიშგებო პერიოდში მონაწილეობა მივიღე:

1. საკრებულოს 12 სხდომაში, 113 დადგენილებისა და 675 განკარგულების განხილვასა და მიღებაში;
2. იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 23 სხდომასა და 395 საკითხის განხილვაში;
3. ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 13 სხდომასა და 93 საკითხის განხილვაში;
4. ფრაქციის - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 15 სხდომასა და 33 საკითხის განხილვაში.